შეთანხმების ფურცელი

„2022 წლის 15 ნოემბრის „საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა (გამსესხებელი) და საქართველოს (მსესხებელი) შორის საკრედიტო რესურსის ჩარჩოშეთანხმების“ №1 ცვლილების“ შესახებ

უწყება	შენიშვნა	კომენტარი
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	კომპეტენციის ფარგლებში, სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ აქვს.	
	აქვე შევნიშნავთ, რომ შეთანხმების პროექტი მასში შემავალი მუხლების თანმიმდევრობის დაცვის თვალსაზრისით, საჭიროებს ტექნიკურ კორექტირებას.	გათვალისწინებულია. მუხლების თანმიმდევრობის დაცვის თვალსაზრისით, შესწორებულია შესაბამისი მუხლების გადანომრვა. ამასთან, ინგლისირი ტექსტის შესაბამისად, ქართული ტექსტის სათაური ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „2022 წლის 15 ნოემბრის „საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა (გამსესხებელი) და საქართველოს (მსესხებელი) შორის საკრედიტო რესურსის ჩარჩოშეთანხმების“ №1 ცვლილება“.
	ამასთან, შეთანხმების პროექტის მიმართ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ამავე პროექტის მე-6 მუხლისა და „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტით ამ ტიპის შეთანხმების ძალაში შესვლისათვის დადგენილი რატიფიცირების სავალდებულო პირობა.	გათვალისწინებული იქნება. საკრედიტო რესურსის ჩარჩოშეთანხმების №1 ცვლილების შეთანხმება კანონმდებგლობის დაცვით წარდგენილ იქნება საქართველოს პარლამენტში რატიფიცირების მიზნით.
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თავისი კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გააჩნია.	
	ამასთან, გაცნობებთ, რომ ზემოხსენებული ცვლილების შეთანხმება არ წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებას და არ საჭიროებს „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული პროცედურების	მიღენბულია ცნობად.

	განხორციელებას, ვინაიდან ცვლილების შეთანხმების მე-7 მუხლის თანახმად ის' რეგულირდება ფრანგული კანონმდებლობით.	
საქართველოს ეროვნული ბანკი	კომპეტენციის ფარგლებში, წარმოდგენილი დოკუმენტის მიმართ შენიშვნები არ აქვს.	
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	კომპეტენციის ფარგლებში, შენიშვნები არ გააჩნია.	
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით შენიშვნები არ აქვს.	
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	შენიშვნები არ აქვს.	
სახელმწიფო აუდიტის სამსახური	თავისი კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გააჩნია.	
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	კომპეტენციის ფარგლებში, შენიშვნები არ გააჩნია.	
	მოსალოდნელია, რომ აღნიშნული ცვლილების გაფორმება საფინანსო-ეკონომიკური თვალსაზრისით დადებით შედეგს მოიტანს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია მისი ხელმოწერა.	გათვალისწინებული იქნება.